

საპრესბიურო

საპრესბიუროს გაზეთი გამოცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამუშაოთი, 19 აპრილი 1994 № 20 (95) ფასი 10 000 კუპონი

2 მსოფლიოს ჩემპიონატი ურუმარიოდ? ფეხბურთის ამბები

3 უმახერის მეორე მოგება



სენა ავარიაში მოყვა

4 უარლოტი ან მაიაში: ბრძოლა მეტექსსებზე ვაკანსიისთვის

5 დათვების დატორილი კანადელები



სტენლის თასი

5 ქართული კრივი ნოკდაუნები ერთი, ორი...

მესი, გავაჟა და ლუარსაგოვილი უელარსიის თასზე

გუშინ, ავტორის დედაქალაქ ვენის მახლობლად, პატარა ქალაქ ბად-ვალტერსდორფში დაიწყო ფედერაციის თასის გათამაშება, რაც დევისის თასის ანალოგიურად, ქალთა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატად ითვლება. ასპარეზობაში მონაწილე 11 ქვეყანას შორისაა საქართველოს ნაკრებიც. ლეილა მესხის, ნინო ლუარსაგოვილისა და ვიქტორია ბახტაძის შემადგენლობით. ჩვენებთან ერთად გამოდიან რუსეთის, ბელარუსის, უკრაინის, ლიტვის, ესტონეთის, რუმინეთის, ეგვიპტის, თურქეთის, კონგოსა და ზიმბაბვეს გუნდები. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით წარმართება და ორი უძლიერესი ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებს.

რუსთავის «აზობი» საქართველოს ჩემპიონი!

აპრილის პირველი ნახევარი ქართული რაგბისთვის სისხლსავსე გამოდგა. ჯერ იყო და თითქმის ერთდროულად კაცთა და ქაბუტთა ეროვნულმა ნაკრებებმა კუცხოეთს სათამაშოდ მიაშურეს. კაცებმა კრასნოდარის მხარის დაბა გელენჯიკში სპორტსაზოგადოება „როსიას“ ღია პირველობაზე 17:5 დაამარცხეს ყაზახეთი, მაგრამ მოსკოვის „ფილთან“ 12:13 წააგეს და საბოლოოდ ხუთ გუნდში მეორე ადგილზე გავიდნენ. საფრანგეთის ქალაქ ლიონში უარესად იასპარეზეს ქაბუტებმა, რომლებმაც ქვეჯგუფში 14:16 წააგეს ტუნისთან, მერე კი გადამწყვეტი შეხვედრა 3:0 მოუგეს უკრაინას და ხუთგუნდიან მესამე ჯგუფში მესამე ადგილიც დაიჭირეს, რაც საერთო მე-19 ადგილზე გასვლის ტოლფასია.

მერე რუსთავის გარეუბან ინტერნატებში შარშანდელი ეროვნული პირველობის ბლიც-ფინალი გაიმართა. ქუთაისის „ერქვანი“ საბოლოოდ გადასულა ლიგის რაგბში და ამიტომ ამერს აღარ ჩამოვიდა, ერთ დროს ლეგენდარული „აიას“ კი ხუთიოდე ძველი მოთამაშეა შერჩენია. ვერც თბილისის „შეფარდენმა“ ივარგა, რომელიც გაკორტებულ „ამირანს“ შეამხანაგებია და ამიერიდან „მერკური“ ერქმევა. სამაგიეროდ სიმძლავრის მწვერვალისთვის მიუღწევია რუსთავის „აზობს“, რომელმაც თბილისელებს 22:6 მოუგო, ქუთათურებს კი 58:9 და საქართველოს 1993 წლის ჩემპიონიც გახდა.

დღეის სწორს საქართველოს წლებიანდელი პირველობაც იწყება. 26 და 28 აპრილს „აიას“ თბილისში ეთამაშება „შეფარდენსა“ და „ბაასს“, რომელიც „ვესტასა“ და „თბილისის“ გარეთიანების ნაყოფია. 27 აპრილს ორი თამაში გაიმართება: ჩემპიონი „აზობი“ იწყებს პირველ ჯგუფის ახალბედებს „ლელოს“, „მერკური“ კი „ყონებს“ ეთამაშება.



დგანან გურამ მოდებაძე (კონსულტანტი), დავით კაკაბაძე (მოთამაშე-მწვინელი), ლევან ცაბაძე, მეფლურ შთიულიშვილი, დავით ჩივაძე, ზურაბ პერიშვილი, თემურ ქერდიშაშვილი, ზურაბ შანიტაძე, ირაკლი დევიძე, ლევან ჩიქინიძე, ნაზა ყანაველი, ნაზა მოდებაძე, დავით მღებრიშვილი, ჩამუხლოვანი მავლე ჯამშელაძე, ბესო ავცილაური, ბორის თურინი, ნაზა ხუციშვილი (კაპიტანი), ვია რაუაჯა (ლარნაკით), შალვა გოგიშვილი, მამუკა შინდორაშვილი, ლევან ბერიშვილი, ვია ახალაძის ფოტოგრაფი



კომპარული სუთი სუთი

საქართველოს ჩემპიონატი
VII ტური, 18 აპრილი
დინამო 7:0 ივერია
თბილისი, ეროვნული სტადიონი

დინამო: ჩხეიძე, ბერაძე, კიკნაძე, ლობჯანიძე, ნემსაძე (ხუჯაძე 46), რევიშვილი, ინალიშვილი, ჯამარაული, იაშვილი, ყაველაშვილი (ტყეშელაშვილი 59), ციციშვილი
ივერია: ტოლონიძე, ჯიჯიანი, ნარმანი (ლომინძე 46), ბ. ჩადუნელი, ტყეშელაძე, გ. ჩადუნელი, მაჭავარიანი, პაკურაძე, მარლიშვილი, ქობულაშვილი, შინაშვილი (გუშაძე 46)

1:0	ყაველაშვილი	(3)
2:0	ყაველაშვილი	(5)
3:0	იაშვილი	(34)
4:0	ციციშვილი	(36)
5:0	ჯამარაული	(38)
6:0	ციციშვილი	(39)
7:0	ინალიშვილი	(76)

გაფრთხილება: ლობჯანიძე
მსაჯე: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

ფინანსური პრობლემები ხაშურის „ივერისას“ შეხება: გუნდი მხოლოდ თამაშიდან თამაშზე იკრიბება, თუ რა

შედეგი მოსდევს უფარჯიშებლობას, ეს ნათლად გამოჩნდა თბილისელებთან მატჩში. ხაშურელებს ჯერ მისაღებება არ დაემთავრებინათ, რომ ანგარიში უკვე 2:0 იყო ყაველაშვილის ბრწყინვალე თამაშისა და დარტყმების შემდეგ. ამის შემდეგ თამაში ოდნავ გათანაბრდა და ხაშურელებმაც ცოტა ამოისუნთქეს, მაგრამ დინამოელთა ოდნავი გააქტიურებაც კი საქმარისი აღმოჩნდა, რომ „ივერისას“ 5 გოლიანი წუთი გადაეტანა, რომლის განმავლობაშიც ოთხი ბურთი მიიღეს იაშვილისაგან, რომელიც პირისპირ გავიდა ტოლონიძესთან, რომელმაც ძლიერი და-

რტყმით ოციოდ მეტრიდან მარცხენა ძელთან ჩასვა: ბურთი და ორიც — ციციშვილისაგან, რომლის აქტიურობა და ლალი თამაში აღნიშვნის ღირსია. მეორე ტაიმი კატათავგობანას წააგავდა, დინამოელებს მაინცდამაინც ბურთიანდ უნდოდათ კარში შესვლა. ამასობაში ყაველაშვილი გამოცვალეს და მან კაპიტნის სამკლავური ინალიშვილს გადაულოცა, რომელმაც ძღვენი შეიფერა და ინდივიდუალური გარდევის დაძლიერი დარტყმის შემდეგ ტბალოზე თავისი მისიურის ნომერი დააწერინა. ყაველაშვილის მაგიერად კი წელს პირველად ითამაშა რამდენიმე

კვირის წინ შევედითიდან დაბრუნებულმა გოჩა ტყეშელაშვილმა.

მაშუა კვარაცხელია

მარაგვეთი 0:1 კოლხეთი
სამტრედიო 3:0 დილა
ტორკელო 1:1 გათიშვი

გურია არ ჩამოვიდა თბილისში შეფარდენთან სათამაშოდ

დინამო	7	7	0	0	25-3	21
კოლხეთი	7	7	0	0	21-7	21
სამტრედიო	7	4	0	3	9-10	12
გურია	6	3	0	3	10-13	-9
ტორკელო	7	2	2	3	10-9	8
ივერია	7	2	1	4	7-16	7
დილა	7	2	0	5	6-14	6
მათუზი	6	1	2	3	6-8	5
მარაგვეთი	5	1	0	4	3-10	3
შეფარდენი	5	0	1	4	1-8	1

